6731/3-81/23 2 13092023

6731/3-81/23
13-09-2023

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,

ბატონ ვახტანგ გომელაურს,

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით, რომელზეც, რეგლამენტის მიხედვით, დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა, საჯაროდ გავრცელებულ გადაცემაში [1]დაადასტურა, რომ 2023 წლის 2 აგვისტოს მისმა უწყებამ გამაფრთხილებელი SMS შეტყობინება დაგზავნა სხვადასხვა ცენტრალურ თუ ადგიობრივ სახელისუფლებო ორგანოსთან.

რა ტიპის საკომუნიკაციო გზით მიიღო თქვენმა უწყებამ აღნიშნული გაფრთხილება.

ვინ არის უშუალო პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება მსგავსი ინფორმაციის მიღება/დამუშავება და სამომავლო ნაბიჯების კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება.

გთხოვთ, დეტალურად მომაწოდოთ იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელიც თქვენმა უწყებამ გაატარა გამაფრთხილებელი შინაარსის ინფორმაციის მიღების შემდგომ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი

[1] !! ვის კისერზეა შოვის ტრაგედია

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge